მაია ნაჭყებია
(საქართველო)

რენესანსული ანტროპოცენტრიზმიდან ბაროკოულ თეოცენტრიზმამდე

რენესანსის კულტურის იდეურ საფუძველს ჰუმანიზმი წარმოადგენს, რომლის საერო ხასიათის ანტიდოგმატურმა და ანტისქოლასტურმა მსოფლმხედველობამ ასახა იტალიის გვიან შუა საუკუნეებში მომხდარი ღრმა საზოგადოებრივი და იდეოლოგიური ცვლილებები. ამ დროს გაჩნდა ინტერესი ანტიკური კულტურის მიმართ, დაიწყო მისი აღორძინება: ჰუმანისტები ანტიკურ კულტურას ეყრდნობოდნენ, სწავლობდნენ პლატონს, არისტოტელეს, პლუტარქეს, თარგმნიდნენ არქიმედსა და სხვა ავტორებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ანტიკური ხელოვნების ძეგლების შეგროვებას, შესწავლას და კომენტირებას. ეს კი იმან განაპირობა, რომ კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ცნობილმა ბერძნებმა ფლორენციისკენ აიღეს გეზი. გემისტუსი ფლორენციელ ვაჭრებს პლატონის ნაშრომებს განუმარტავდა, მარსილიო ფიჩინო, ფლორენციაში პლატონის აკადემიის ხელმძღვანელი და პლატონის მთარგმნელი კი საეკლესიო კათედრიდან ბიბლიასავით კითხულობდა მის თხზულებებს, ხოლო პიკო დელა მირანდოლას განცვიფრებაში მოჰყავდა მთელი იტალია თავისი სწავლულობით (De Sanctis 1963: 432).

რენესანსი ახალი საერო კულტურის შექმნის ცდა იყო და ჰუმანისტების უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა მდგომარეობდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების გათავისუფლებაში ეკლესიის ძალმომრეობისგან. ჰუმანისტები გონების თავისუფლების მოთხოვნით გამოდიოდნენ, რაც ადამიანს შესაძლებლობას მისცემდა შეუფერხებლად განევითარებინა თავისი ნიჭი და შემოქმედებითი შესაძლებლობები – მათი ინტერესების ცენტრში ფეოდალურ-საეკლესიო ძალმომრეობისგან თავისუფალი ადამიანი იყო. ამგვარად, ჰუმანისტებმა ჩამოაყალიბეს ადამიანის ახალი კონცეფცია: თუ შუა საუკუნეთა საეკლესიო იდეოლოგია ყველანაირად აკნინებდა ადამიანს, ხაზს უსვამდა და უნერგავდა მას აზრს იმის შესახებ, რომ იგი უსუსური და ცოდვილია, ამის საპირისპიროდ ჰუმანისტები განადიდებდნენ ადამიანის პიროვნებას, სწამდათ მისი უსაზღვრო შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი პოტენციალისა. რენესანსმა დაიწყო პიროვნების გათავისუფლება, გამოიყვანა იგი შუა საუკუნეთა ანონიმურობიდან, მოახარხა მისი გამოხსნა საზოგადოებრივი შეზღედვებისგან და სწორედ ამ დროს შეეჯახა ქრისტიანობა ახალ, რთულ აზროვნებას, შექმნილს ერთდროულად პირადი ღვთისმოსაობის მოთხოვნილების და საერო კულტურისკენ სწრაფვისაგან, რელიგიაში სიცოცხლის და სილამაზის ინტეგრირების სურვილისგან. XIV-XV საუკუნეების რელიგიურმა ანარქიამ არა მხოლოდ განხეთქილება, არამედ განახლებაც მოიტანა: ქრისტიანობა უფრო სტრუქტურირებული, უფრო ღია გახდა ყოველდღიურობისთვის, უფრო მისაღები ერისკაცებისთვის, ლოიალური სხეულის და სამყაროს

სილამაზის აღქმის მიმართ. აღორძინების შემოქმედნი სხეულის სილამაზით იყვნენ მოჯადოებულნი და შეძლეს მისთვის კანონიერი ადგილის დაბრუნება ხელოვნებასა და ცხოვრებაში, მაგრამ ამასთან ერთად არ გაუწყვეტიათ კავშირი ქრისტიანობასთან: მხატვრების უმრავლესობა ერთნაირი დამაჯერებლობით ასახვდა როგორც ბიბლიურ სცენებს, ისე შიშველ ნატურას მითოლოგიურ სიუჟეტებში და ამასთან, აღორძინების მხატვრებს არ ჰქონდათ იმის განცდა, რომ საკუთარ თავს ეწინააღმდეგებოდნენ – ქრისტიანობა უკვე აღარ ნიშნავდა იძულებით ასკეტიზმს (Delumeau 2006: 13-14).

რენესანსული ანტროპოცენტრიზმი. ჰუმანისტები ადამიანის გრძნობითი ბუნების რეაბილიტაციას ახდენდნენ, ხოტბას ასხამდნენ მიწიერ ცხოვრებას და დითირამბებს უძღვნიდნენ გონების შემოქმედებით აღმაფრენას. ეკლესიის წნეხისაგან თავისუფალი რენესანსული ლიტერატურა იცავდა ადამიანის თავისუფალ აზრს და მის პიროვნული თავისუფლებას: პიროვნების ღირსება, მისი დაცვა და მისდამი უსზღვრო რწმენა აღორძინების არსია. ჰუმანისტებს სწამდათ ადამიანის კეთილი ბუნების, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ადამიანი არ ისარგებლებდა თავისუფლებით ბოროტი საქციელის ჩასადენად. მათი რწმენით ადამიანს ბუნებამ მისცა ისეთი თვისებები, რომლებიც მას აკავებენ ცოდვის, ყოველგვარი სიბოროტისა და უარყოფითის ჩადენისგან. მათი აზრით ადამიანს არ სჭირდებოდა გარეგანი შეზღუდვები და აღვირი: მას ჰქონდა შინაგანი ჰარმონია და საზომი, რომელიც რენესანსის მიერ წარმოშობილი ბუმბერაზი მწერლების, პოეტების, მხატვრების, მოქანდაკეების და სწავლულების არაჩვეულებრივი თანავარსკვლავედის – ბოკაჩო, პეტრარკა, არიოსტო, რონსარი, რაფაელი, ლეონარდო და ვინჩი, ტიციანი, მაზაჩო, პერუჯინო, ჯორჯონე, ერაზმ როტერდამელი, მირანდოლა – საზომია. რენესანსის ადამიანი ხომ დიადი საქმეებისათვის იყო მოწოდებული.

რენესანსმა ხელოვნების ცენტრში ადამიანი და ბუნება მოათავსა: ჰუმანისტი ფილოლოგი, პოეტი და პოლიტიკოსი ქრისტოფორო ლანდინო (1424-1498) თავის ეთიკურ და ფილოსოფიურ შეხედულებებში განმსაზღვრელ მომენტად მიიჩნევდა ადამიანის აქტიურობის პრობლემას მის მიწიერ ყოფიერებაში, თვლიდა, რომ პლატონის სწავლება არ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ დოქტრინას და ყოველთვის ცდილობდა თეოლოგიური და ფილოსოფიური ტრადიციის შეთანხმებას (Брагин 1986: 96). სწორედ ქრისტიანული კატეგორიებით აზროვნების შედეგია, რომ რენესანსის ახალმა, ჰუმანისტურმა ორიენტაციამ ყველაზე ცხადი გამოხატულება ადამიანის შესახებ შექმნილ მოძღვრებაში ჰპოვა, როდესაც ბიბლიური ქრისტიანობის საფუძველზე ადამიანის ახალი კონცეფცია, რენესანსული ჰუმანიზმის საფუძველი – რენესანსული ანტროპოცენტრიზმი – შექმნა.

ჰუმანისტური აზრის მწვერვალს წარმოადგენს სწორედ სწავლებანი ადამიანის შესახებ, რომელიც დასრულებული სახით ეთიკაში აისახა. იტალიელი მეცნიერი, ჰუმანისტი, მწერალი და აღორძინების ეპოქის ხელოვნების თეორეტიკოსი ლეონ ბატისტა ალბერტი (1404-1472) წერს: „დაბადების ბოლო დღეს ღმერთმა შექმნა ადამიანი, რათა მას შეეცნო სამყაროს კანონები, ესწავლა მისი სილამაზის სიყვარული, აღფრთოვანებულიყო მისი სიდიადით. შემოქმდმა უთხრა ადამს: მე არ დაგაბი შენ გარკვეულ ადგილზე, არ დაგავალე გარკვეული საქმე, არ შეგბოჭე აუცილებლობით იმიტომ, რათა შენ საკუთარი ნებით განგესაზღვრა ადგილი,

საქმე და მიზანი, რომელსაც თავისუფალი ნებით აირჩევდი. სხვა არსებათა ბუნება შინაგანად შეზღუდულია ჩემს მიერ დადგენილი კანონებით, შენ კი ერთადერთი ხარ, რომელსაც არ აკავებს ვიწრო საზღვრები. ... **მე შენ სამყაროს ცენტრში დაგაყენე,** რათა შენთვის ადვილი ყოფილიყო შენ გარშემო არსებულის დანახვა. მე შენ შეგქმენი არა ღვთიურ, მაგრამ არც მხოლოდ მიწიერ არსებად, არც მოკვდავად, მაგრამ არც უკვდავად, რათა შენ, რომლისთვისაც უცხოა შეზღუდვა, თვითონ გახდე შემოქმედი და თვითონ გამოძერწო შენი საბოლოო სახე. შენ გაქვს შესაძლებლობა დაეცე ცხოველის დონეზე, მაგრამ ასევე გაქვს შესაძლებლობა ამაღლდე ღვთის მსგავსი ადამიანის სიმაღლემდე და ეს მხოლოდ შენი შინაგანი ნების წყალობით (Дживелегов 1925: 33).

შუა საუკუნეებში გაბატონებული სქოლასტიკა შინაგან პროტესტს იწვევდა ადამიანში, რომელსაც მეტი შინაგან თავისუფლება და საკუთარი თავისადმი პატივისცემა სჭირდებოდა. ჰუმანიზმმა თავისი ყურადღება ადამიანისკენ მიმართა და იგი ყველა ინტერესების ცენტრში მოაქცია. რენესანსის მსოფლმხედველობა დამყარებულია სამყაროს ჰარმონიის, ადამიანის კეთილი ნების რწმენაზე, რომ „ადამიანი არის საზომი ყველა საგანთა“ (პროტაგორი), მაგრამ გვიანი ჰუმანიზმი კი უკვე ეჭვის ქვეშ აყენებს დოქტრინას „ადამიანის უსაზღვრო შესაძლებლობათა“ და ადამიანის კეთილი ბუნების შესახებ.

ბაროკოული თეოცენტრიზმი. XVII საუკუნე თითქმის მთელ ევროპაში სოციალური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი კატაკლიზმების ეპოქაა: ოცდაათწლიანი ომი გერმანიაში, რეფორმაცია და კონტრრეფორმაცია, ფრონდა საფრანგეთში, ინგლისსა და ნიდერლანდებში ბურჟუაზიული რევოლუცია, ოსმალების შემოსევა, რომლებიც ვენამდე მივიდნენ. ბაროკოს ავტორებთან უკვე ვეღარ ვხვდებით სიცოცხლის ხალისს, რწმენას რომ ადამიანი ბოროტებაზე გაიმარჯვებს, სულ უფრო და უფრო ძლიერდება პესიმიზმის, სკეპტიციზმი, ამქვეყნიური ცხოვრების არამყარობის მოტივები. დომინანტური ხდება ადამიანის მიერ იმის შეგნება, რომ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა განწირულია დამარცხებისთვის. ბაროკოს ლიტერატურის სტილისა და თავად შინაარსის ცვლილება განაპირობა ისტორიული სინამდვილის ხარისხობრივმა ცვლილება, აღორძინების ხანის დასრულებამ.

ბაროკოს კულტურის რელიგიურ-ეთიკური წანამძღვარი მდგომარეობს ღრმა რწმენაში, რომ აუცილებელია პოსტრენესანსული ადამიანის გადარჩენა: საჭიროა ადამიანის ხსნა საკუთარი თავისგან, დახსნა იმ ბოროტი ძალებისგან, რომლებმაც მისი საკუთარი ბუნების ბნელი სიღრმეებიდან ამოხეთქეს, ამისთვის კი საჭირო იყო სამყაროს იმ თეოცენრტული სურათის აღდგენა თავისი ზნეობრივი მოთხოვნებითურთ ადამიანის მიმართ, რომელიც რენესანსის ანტროპოცენტრიზმმა განდევნა. XVII საუკუნისთვის ის რენესანსული გუნება-განწყობილებანი, რომლებიც ამკვიდრებდნენ „სამყაროს გვირგვინი“ ადამიანის თავისუფლებას ზებუნებრივი ძალებისგან, ერთი მხრივ მეტაფიზიკური სიმარტოვის და მიტოვებულობის, მეორე მხრივ კი უსაზღვრო იმორალიზმის საფრთხით შემოტრიალდა. ბაროკოს სამყარომ ვერ/არ მიიღო სამყარო, სადაც ცენტრალური ადგილი ღმერთს არ ეკავა. ბაროკოს კულტურა პასკალის ფილოსოფიურ-ეთიკური ძიებებით, რემბრანტის,

ელ გრეკოს, ბერნინის მხატვრობით, დიუ ბარტას, კალდერონისა და გრიფიუსის პოეზიით და ბახის მუსიკით გაიჭრა მაღლა, ეს აღტყინება ახალი ეპოქის დამკვიდრებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. როგორც ჩანს, ბაროკოს იმიტომ ახასიათებს ასეთი ძლიერი შინაგანი დაძაბულობა, რომ სამყაროს თეოცენტრული სურათის შენარჩუნება სოცალური ცხოვრების ავანსცენაზე მხოლოდ სულიერი ძალისხმევით ადვილი არ უნდა ყოფილიყო. ბაროკომ შექმნა სივრცე, სადაც არ სუფევდა წონასწორობა, სადაც ჭარბობდა დრამატული ეფექტები, წინააღმდეგობანი და დისჰარმონია, სადაც სუფევდა კონტრასტები, ბრძოლა, ვნებები და ტანჯვა. ხელოვნებათმცოდნეთა დაკვირვებით, მხატვრობასა და არქიტექტურაში უწინდელი რენესანსული წრე, ჰარმონიის სიმბოლო, გაიჭიმა და ელიფსის ფორმა მიიღო, როგორც დაძაბული წინააღმდეგობის გაწევის სიმბოლომ. აღორძინების ეპოქის სტატიკურმა, ღირსებით აღსავსე რენესანსის სკულპტურებმა და ფერწერულმა ფიგურებმა ადგილი დაუთმეს მისტიკური აღფრთოვანებით გასხივოსნებულ სახეებს (ბერნინის „წმინდა ტერეზას ექსტაზი“, ელ გრეკოს „წმინდა ფრანცისკი ექსტაზში“, „მარიამ მაგდალინელი“).

ბაროკო აღსანიშნავია იმით, რომ იგი შეეცადა მოეხდინა იმ სულიერი გამოცდილების აქტუალიზაცია, რომელიც შუა საუკუნეების ქრიატიანულმა კულტურამ დააგროვა, მაგრამ ამასთან ერთად მისთვის არ იყო უცხო ანტიკური მითოლოგიის პერსონაჟები, რომელსაც ოსტატურად იყენებდა ბიბლიურ სახეებთან ერთად (Софронова 1978: 68-78). რენესანსისგან განსხვავებით იგი არ ისწრაფოდა ანტიკური კანონებისა, იდეებისა და პრინციპების აღორძინებისკენ, მან დროით უფრო ახლოს მდგარი, შუა საუკუნეთა რელიგიური გამოცდილების გააქტიურება მოახდინა. ბაროკო შეეცადა არა მხოლოდ ახალი სული შთაებერა შუა საუკუნეთა ქრისტიანული გამოცდილებისთვის, არამედ მოეხდინა შუა საუკუნეთა თეოცენტრიზმის სინთეზი ადამინის თავისუფლებისა და ღირსების რენესანსული კონცეფციისთვის. **ბაროკოს მისწრაფებები მიმართული იყო არა მხოლოდ ღმერთის დაბრუნებისკენ სამყაროს სურათის ცენტრში, არამედ ცდილობდა, ღმერთი ადამიანების დაცარიელებულ გულშიც დაებრუნებინა.**

ბიბლია: „წიგნი დაბადებისა“. მნიშვნელოვანი რყევებისა და გარდატეხების ეპოქებს ყოველთვის სდევს ბიბლიური წიგნების ხელეხალი აღმოჩენა, რადგან მიუსაფარ სამყაროში ადამიანი ცდილობს მიაგნოს ახალ საყრდენ წერტილს, ამიტომაც იქცა ბიბლია ბაროკოს ადამიანის მთავარ წიგნად. „დაბადება“ და შესაბამისად პირველცოდვის თემა ერთ-ერთი საკვანძო იყო ბაროკოს ლიტერატურაში, რომელსაც იგი სხვადასხვა ასპექტით წარმოაჩენდა და სხვადასხვა მიზნებს უსახავდა. ადამიანის ბიბლიური კონცეფცია, რომელიც პირველცოდვის ძველი აღთქმისეულ ამბავს ეფუძნება, ევროპული ბაროკოს მრავალ ავტორთან აისახა: ბიბლიური თემებიდან განსაკუთრებული პოპულარობით ადამისა და ევას ამბავი სარგებლობდა. ამ თემაზეა შექმნილი ანდრეონის „ადამი“, ვონდელის „ლიუციფერი“ და „განდევნილი ადამი“, მილტონის „დაკარგული სამოთხე“ (ვარნერი 1954: 135) ამ თემის ლიტერატურულად გაფორმების პირველობა ბაროკოს ეპოქაში კი ფრანგული ბაროკოს ერთ-ერთ უდიდეს წარმოადგენელს დიუ ბარტას ეკუთვნის, რომელმაც შექმნა ვრცელი პოემა „პირველი კვირა, ანუ დაბადება“ (1578). პოემაში

აქცენტი კეთდება ქაოსიდან წესრიგის შექმნაზე, ეს კი გაგებულია, როგორც ცვალებადობა ანუ მეტამორფოზა. დიუ ბარტა პოემაში სამყაროს შექმნას წარმოადგენს, როგორც ღმერთის მიერ შექმნილ სურათს, თავად ღმერთს კი მხატვრად სახავს. უმნიშვნელოვანესი რამ, რისი თქმაც ავტორს სურს, არის ის, რომ წარღვნა არის ცოდვილი ადამიანის სასჯელი, წარღვნის შედეგად ფორმადაკარგული სამყარო კი აშორებს ადამიანს ღვთისაგან, მაშინ, როდესაც პირიქით, ღვთაებრივი მადლი აღადგენს სამყაროს ფორმას. მაშასადამე, სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ფორმადაკარგული სამყარო იგივეა, რაც სამყარო ღმერთის გარეშე. ეს არის დიუ ბარტს მიერ გადმოცემული სამყაროს შექმნის ცვალებადობის ანუ მეტამორფოზიდან გამოსატანი გაკვეთილი (Bellenger 1979: 104-108). პირველცოდვის თემა ქართული ბაროკოს ლიტერატურაში ასახულია „გაბაასებაში კაცისა და სოფლისა“ (1684), სადაც ფორმულირებულია ბაროკოს ეპოქის უმნიშვნელოვანესი იდეა: ადამიანი სოფლის მბრძანებლიდან, რაც ადამიანის რენესანსული კონცეფციაა, გადაიქცა სოფლის მონად, რაც უკვე ადამიანის ბაროკოსეულ კონცეფციაა: „კაცო, შენ ღვთის მსგავსად რადმე შექმნილო, // ჩემად და ჩემთა ნივთთაზე უფლად და მთავრად განზრდილო, // ვა შენ, რომ მცნებას გარდაჰხე, ბოლო კარგა ხანს დაქნილო, // განშიშვლდი დიდებისაგან, უგუნურ პირუტყვად ქმნილო“ (ნაჭყებია 2008: 101-115). ბაროკოს პოეტების მიერ დეკლარირება იმ აზრისა, რომ პირველცოდვის შედეგად სამყარო კარგავს ჰარმონიას და ღვთის მსგავსად შექმნილი ადამიანი, „სამყაროს გვირგვინი“, სოფლის მონად იქცევა, მკაფიოდ ასახავს რენესანსისა და ბაროკოს მთავარ პრინციპთა დაპირისპირებას: რენესანსის ადამიანი ყოვლისშემძლეა, სამყაროს ცენტრში დგას, ხოლო ბაროკოს ადამიანი უკვე აღარ არის ღვთის ტოლი, იგი „მოაზროვნე ლერწამია“, ხოლო კაცობრიობის გვაროვნული უბედურება თავად ადამიანის სუსტ ბუნებაში ძევს. ადამიანს, რომელსაც გარს ატრყავს ამოუცნობი საიდუმლოებანი, თავად უდიდესი საიდუმლოა და ამიტომ, ადამიანი – ყველაზე უმნიშვნელო არსებაა. ამ კონტექსტში აყალიბებს პასკალი თავის ცნობილ სახეს ადამიანისა, როგორც „მოაზროვნე ლერწმისა“, რომელიც ბუნების ყველაზე სუსტი ქმნილებაა: „ადამიანი მხოლოდ ლერწამია, ბუნების სუსტი ქმნილება: იგი მოაზროვნე ლერწამია, ამიტომ, ადამიანის გასანადგურებლად სრულებით არ არის საჭირო მთელი სამყარო: საკმარისია ქარის დაბერვა ან წყლის წვეთი. ასე შეცვალა რენესანსული ანტროპოცენტრიზმი ბაროკოს თეოცენტრიზმმა, რომელმაც ღმერთი ისევ სამყაროს ცენტრში დააბრუნა.

Vanitas vanitatum, omnia vanitas… ბიბლიური წიგნებიდან ბაროკოს ეპოქაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს „ფსალმუნნი“, რომელიც იტევს ადამიანის განცდათა უსასრულო დიაპაზონს, ასევე უაღრესად ლირიკული, მაღალმხატვრული და ალეგორიული „ქებათა-ქება სოლომონისა“, რომლის ღვთიური მიჯნურობის მოტივები იზიდავდა ბაროკოს ავტორებს, რომელთათვისაც ღვთის რწმენა აღიქმებოდა როგორც მოვალეობა, ემოცია და შინაგანი მოთხოვნილება. ეს დამოკიდებულება ქართული ბაროკოს ლიტერატურაში მკაფიოდ აისახა ვახტანგ VI-ის პოეზიაში: „მისთა ტრფიალთა კეთილი არ მიეცემის კარითა,//სიყვარულითა მისითა გული, გონება კარითა, // მისისა მიხლებითა ეშყსა სურვილი კარითა, // ეგება რომე გვეღირსოს შესვლა სამოთხის კარითა“ („სატრფიალონი“ 29) (ნაჭყებია 209: 47-53).

ხოლო ბაროკოს ფილოსოფიურ ბაზად „ეკლესიასტე“ იქცა, რომელშიც ამ ეპოქის ავტორებმა მათთვის ყველაზე ორგანულ ტექსტს მიაკვლიეს. მასში დახატული ბრძენის სახე, რომელმაც ყველაფერს მიაღწია, რაზეც ადამიანმა შეიძლება იოცნებოს, განიცადა ყველაფერი და მივიდა დასკვნამდე: „რამეთუ ესეცა ამაო და ჴდომა სულისა!“ (ეკლესიასტე 2: 26). სამყაროს წრებრუნვა უცვლელია, ხოლო ღვთის გზები შეუცნობელი. ეკლესიასტეს ანტინომიურობა მაგნიტივით იზიდავდა ბაროკოს ეპოქის ავტორებს, რომელთათვისაც ანტითეზა სააზროვნო სისტემას წარმოადგენდა. წარმავალ, ამოუხსნელ სამყაროში ეკლესიასტე ადამიანის სულიერ ძიებებს პასუხობდა და ამიტომ იქცა მის დევიზად „ამაოება ამაოთა, ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო“ (ეკლესიასტე 1:2). ამაოებას განცდა, ადამიანისა და მისი ყოფიერების წარმავლობის თემა ხშირად ისმის გრიფიუსის პოეზიაში: „რად მეძახით, სადაც ყოველივე იმსხვრევა, ქრება, ყოფნა იცვლება არყოფნით და სიამე – გლოვით!“ (გრიფიუსი 1975: 61). ამაოების განცდას უკავშირდება სამყაროს მეტამორფოზის, მისი მარადიული ცვალებადობის თემა, ლაკონურად ფორმულირებული ფრანგული ბაროკოს წარმომადგენლის, ცნობილი რომანის – „ასტრეს“ ავტორის, ონორე დ’ურფის ფრაზაში: „არაფერია ისეთი მარადიული, როგორც ცვალებადობის მუდმივობა“, რომელიც ზუსტად გამოხატავს ბაროკოს ადამიანის განცდებსა და განწყობილებებს.

Memento Mori. ბაროკოს ეპოქაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა დიდმა აღმოჩენებმა ასტრონომიაში, ფიზიკაში, კოსმოლოგიაში და ეს იყო ბიძგი იმისა, რომ გეოცენტრული და შესაბამისად, ანტროპოცენტრული კონცეფციები უკვე სულ სხვა მიდგომებით შეცვლილიყო. ბაროკოს ადამიანი სულ უფრო და უფრო მძაფრად გრძნობდა დამოკიდებულებას ირაციონალურ ძალებზე და ისევე, როგორც აღმოჩნდა, რომ დედამიწა აღარ იყო ჩაკეტილი სამყაროს ცენტრი, ადამიანიც ვეღარ აღიქვამდა თავს სამყაროს ცენტრად. ამ გარდამტეხი ცვლილებების შედეგად რენესანსული ევროპის ცხოვრების იდეალიზებული სურათი შეიცვალა ყოფიერების რთული და წინააღმდეგობრივი სურათით, ცხოვრების წარმავლობისა და ცვალებადობის განცდით. მაღალზნეობრივმა ბიბლიურმა კატეგორიებმა დაიკავეს რენესანსული მშვენიერების იდეალის ადგილი. ბაროკოს ადამიანს არასოდეს არ ავიწყდებოდა, რომ ცხოვრება დროებითი და ხანმოკლეა, ხოლო სიკვდილი გარდაუვალი და ამიტომაც რენესანსის ლოზუნგი “Carpe Diem!” იცვლება რადიკალურად საწინააღმდეგო არსით “Memento Mori!” – „გახსოვდეს სიკვდილი!“. მაგრამ ბაროკოს ეპოქის შემოქმედთათვის სიკვდილი მხოლოდ განგება კი არ იყო, არამედ ყოველივე ცოცხალის გამანადგურებელი და შემმუსვრელი. ქანქარიანი საათის მექანიზმის გამოყენებამ ადამიანებს სულ უფრო ღრმად გააცნობიერებინა დროის სრბოლა. დრო, რომელიც აქამდე წლებით, თვეებითა და დღეებით განისაზღვრებოდა, უეცრად აჩქარდა და მისი საზომი უკვე საათები, წუთები და წამები გახდა. ცხოვრების სწრაფწარმავლობის ეს განცდა ეპოქის ნიშნად იქცა, ამიტომაც მსჭვალავს ასე ძლიერ ბაროკოს პოეზიას დროის წარმავლობისა და ხრწნადობის თემა, რომელიც მისტიკურ შიშს წარმოშობს, მაგრამ მეორე მხრივ მქროლვარე დროის განცდა, რომელიც ყველაფერს შთანთქავდა, ყოველივე მიწიერის ამაოება, იწვევდა გასაოცარ ჰედონისმს: სიცოცხლისმოყვარეობასა და სიცოცხლის ტრფიალსა.

ამგვარი პარადოქსი წარმართავდა ბაროკოს ლიტერატურას და სწორედ ეს ანტითეზურობა ამთლიანებდა ბაროკოს გახლეჩილ ადამიანს, რომელიც საპირისპირო გრძნობათა და განცდათა შორის იხლიჩებოდა. უდიდესი ბაროკოული ექსპრესიით გამოირჩევა გურამიშვილის სტრიქონები, რომელშიც ადამიანის გახლეჩილი, გაორებული სულის ტრაგიკული განცდა და გამთლიანების ვედრება ანტითეზური წყვილებით არის გამოხატული: „თუ ხარ **ღვიძილი**, რაღა არს **ძილი**?//თუ ხარ **სიმაძღრე**, რა არს **შიმშილი**?//თუ ხარ **სიცოცხლე**, რაღა არს **სიკვდილი**?//იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი!“ (ნაჭყებია 2009: 154).

ბაროკოს კულტურა La Dance Macabre-ით, სიკვდილის სანახაობითა და ჩონჩხით არის მოჯადოებული. თუ აღორძინების მხატვრები ადამიანის ანატომიას აღიქვამდნენ, როგორც ადამიანის სხეულის შესახებ სწორი წარმოდგენის შემქმნელ დამხმარე საშუალებას და უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ კუნთოვანი სისტემის შესწავლას (პოლაიოლო, ლეონარდო და ვინჩი), რადგან ანატომიის ცოდნა მათ ადამიანის სხეულის მშვენიერების გადმოსაცემად სჭირდებოდათ (ამიტომ არის სურათებზე აღბეჭდილი რენესანსული სხეულები ასეთი სრულყოფილი და სიცოცხლით სავსე) და სწორედ მაღალმა რენესანსმა წამოაყენა uomo universal-ს იდეალი, იდეალი სრულყოფილი ადამიანისა, რომელიც ყოველმხრივაა განვითარებული, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად (Ротенберг 1967: 17), ბაროკოს მხატვრობამ და პოეზიამ რენესანსული ინტერესი ადამიანის სხეულისადმი სულ სხვა ვექტორით წარმართა: აქ ანატომია დამხმარე საშუალება კი აღარ არის, არამედ სიკვდილთან დაკავშირებული განცდა. Memento mori-ის დროშის ქვეშ მიმდინარე ბაროკოსთვის ადამიანის ანატომია და სიკვდილი უკვე გაიგივებულია: როგორც პოეზიაში, ისე მხატვრობაში ცხოვრების სასრულობის ასახვის ერთ-ერთი ფორმა ადამიანის ანატომიურ სხეულთან არის დაკავშირებული. ბაროკოს ეპოქა შთაგონებულია კაცობრიობის ისტორიისა და ბედის დრამატული და ტრაგიკული ხილვებით და ეს ხილვები აისახა პოეზიაში, მხატვრობაში, თეატრსა და დრამატურგიაში, ცვალებადობის განცდის ეს ტრაგიკული ჩვენებები მჟღავნდებოდა ამაოების გრძნობაში და უკავშირდებოდა მთელი ცხოვრების – დაბადებისა და სიკვდილის ენიგმას. რემბრანტის ტილო „დოქტორი ტულიპის ანატომიის გაკვეთილიც“ ადამიანის გაკვეთას ასახვს, სადაც გვამის შინაგან წყობას ინტესესით დასცქერიან ანატომიური თეატრის მონაწილენი, ხოლო ფრანგული ბაროკოს პოეტი ჟან-ბატისტ შასინიე უჭვრეტს თავის სხეულის გამოსახულებას, რომელიც ნაწევრდება და ამბობს: „აქ მე ანატომიურად ვარ წარმოდგენილი” (Chauveau 1997: 151). შასინიეს სონეტში „სიკვდილის არად ჩაგდება“ მოკვდავი ფიქრობს იმაზე, თუ როგორი არის ჭიების მიერ შეჭმული გვამები საფლავში: ხორცგაცლილი, უძარღვო, სადაც ამოჩრილი ძვლებიდან ტვინი ინთხევა, ხოლო სახსრები დაშლილია, დასკვნა კი ასეთია: „მიენდე მხოლოდ ღმერთს და ამაოებად ჩათვალე ყოველივე“. ბაროკოს მხატვრობისთისაც ახლობელია თავის ქალისა და ჩონჩხის გამოსახვა, რომლებსაც ნახატზე ასახული სხვა საგნების ამაოების დასაბუთების ფუნქცია აკისრიათ (Dela vale: 113-117). ამგვარი დამოკიდებულება სიკვდილისადმი ქართული ბაროკოს პოეზიაშიც აისახა, სადაც სიკვდილი, როგორც პერსონაჟი, დავით გურამიშვილის მიერ პლასტიკური ხელოვნების თვალსაჩინოებით არის დახატული: „ტანზედა ხორცი

არ გაკრავს“, „სიკვდილის მსგავსად გაუხდა კაცს ტანთ ბხორცთ შემოცლილობა“, „თაგვის სოროებს მიგიგავს ცხვირი, პირი და თვალები“ (ნაჭყებია 2009: 142-146). პოეზიაშიც და მხატვრობაშიც კარგად ჩანს ბაროკოს ადამიანის დამოკიდებულება სიკვდილისადმი: „და ყოველივე ერთსა ადგილსა მივალს. ყოველივე შეიქმნა მიწისგან და ყოველივე მიიქცევის მიწად“ (ეკლესიასტე 3:20).

დამოწმებანი:

Bellenger, Yvonne. La metamorphose dans la “Creation du Monde” de Du Bartas //Acts du Colloque International de Valenciennes: 1979.

Bragin, L. M. Hroblema nravstvennogo ideala v etike Kristoforo Landino // Kul’tura epokhi vozrozhdeniya. L., Nauka: 1986 (Л. М. Брагин. Проблема нравственного идеала в этике Кристофоро Ландино. //Культура эпохи возрождения. Л., Наука: 1986).

Gripius, Andreas. Ketevan Kartveli anu Gaut’ekheli Simt’kitse. T’ragedia Khut Mokmedebad. Germanulidan Targmna Akaki Gelovanma. Tbilisi: gamomtsemloba „sabch’ota sakartvelo”, 1975 (გრიფიუს, ანდრეასი. ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე. ტრაგედია ხუთ მოქმედებად. გერმანულიდან თარგმნა აკაკი გელოვანმა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1975).

De Sanctis Francesco. Istoriya Ital’yanskoj literatury. Tom I. Moskva: izdatel’stvo inostrannoi literatury, 1963 (Де Санктис Франческо. Истирия итальянской литературы. Том I. Москва: Издательство иностранной литературы, 1963).

Della Valle Daniela. Le thème de la Vanité dans la peinture et dans la poèsie baroques françaises, Représentations et figurations baroques. Acts du colloque international d’ Oslo: 1995.

Delumeau Jean. Tsivilizatsiya vozrozhdeniya/ Ekaterinburg: U-Faktoriya, 2006 (Делюмо Ж. Цивилизация Возрождения. Екатеринбург: У-Фактория, 2006).

Nach’kebia, Maia. *Kartuli Barok’os Sak’itkhebi*. Tbilisi: gamomtsemloba “merani”, 2009 (ნაჭყებია, მაია. *ქართული ბაროკოს საკითხები*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 2009).

Sofronova L. A. Mif i drama baroko v Pol’she i Rosii/ / Mif – Folklyor – Literatura/ Leningrad: Nauka, 1978. (Софронова, Л. А. Миф и драма барокко в Польше и Росии. Миф – Фольклор-Литература. Ленинград: “наука”, 1978).

Chauveau, Jean-Pierre, Lire le baroque, Paris: DUNOD, 1997.

Rotenberg E.I. Iskustvo Italii v period vysokogo vozrozhdenia. Pamyatniki mirovogo iskustva. Iskustvo Italii XVI veka. Moskva: Iskustvo: 1967. (Е.И. Ротенберг. Искусство Италии в период высокого возрождения. Памятники мирового искусства. Искусство Италии XVI века. Москва. Искусство: 1967).

Dzhivilegov, A. K. *Vozrozhdenie*. Sobranie tekstov. M.-L.1925. (Дживелегов А. К. *Возрождение.* Собрание текстов. М.-Л., 1925.)

Maia Nachkebia
(Georgia)

From Renaissance Anthropocentrism to Baroque Theocentrism

Summary

Key words: Renaissance, Baroque, Anthropocentrism, Theocentrism, Memento mori, Carpe diem, Vanitas vanitatum.

Ideological grounds for renaissance culture is humanism, and its anti-dogmatic and anti-Christian secular nature world outlook mirrored deep social and ideological changes taking place in late Middle Ages Italy. At this time an interest was generated towards antique culture and its revival was started. A man, free from feudal-ecclesiastic violence was in the center of interests of humanists. Thus humanists formulated a new human conception: if church ideology of Middle Ages tried to inculcate in men an idea that he was feeble and sinner, the humanists, in the contrary, praised a person, believed in his unlimited abilities and creative potential. Renaissance started liberation of a person and it lead a man from anonymity of Middle Ages. Christianity became more structured, more open for everyday life, more acceptable for secular men, loyal to perception of beauty of body and world. Humanists tried to rehabilitate perceptual nature of a man; renaissance literature that was free from church press protected free opinion of a man and his personal freedom: personal dignity, its protection and unlimited belief in a man is the essence of renaissance. Humanists believed in kind nature of a man. According to their opinion, the nature awarded a man with the properties, which prevented him from sinning, from doing all kinds of evil and negative. According to their opinion a man needed no external restrictions, since he had inner harmony and measure, which was a measure of splendid constellation of giant writers, poets, painters, sculptures and learned men such as: Boccaccio, Petrarch, Ariosto, Ronsard, Rafael, Leonardo da Vinci, Titian, Masaccio, Perugino, Giorgione, Erasmus of Rotterdam, Mirandola. This is how a man and nature appeared in the center of renaissance art. Humanist philologist, poet and politician Cristoforo Landino (1424-1498) considered that theory of Plato didn't contradict Christian doctrine and always tried coordination of theological and philosophical traditions. It is namely the result of thinking according to Christian categories that humanistic orientation of renaissance found most vivid expression in the theory created about a human being, when it created a new conception of a man on the base of biblical Christianity, the base of renaissance humanism, renaissance anthropocentrism. The apex of humanistic idea is namely the doctrine, teaching about a man; it directed its attention to human being and put him in the center of all interests: "I put you [human being -M.N.] in the center of universe" (Leon Battista Alberti). Renaissance world outlook is based on belief of harmony of the universe, goodwill of man, but the late humanism puts under doubt a doctrine "about unlimited possibilities" and about kind nature of a man.

XVII century in almost the whole Europe is an epoch of social, political and public cataclysms and we don't meet anymore strife for life, belief that a man will win over the evil in the works of authors of baroque, motifs of pessimism, skepticism and instability of real life are prevailing. Changes in baroque literature style and its essence were conditioned by qualitative changes in historic reality, termination of the era of renaissance.

Religion-ethical prerequisite of baroque culture is in a deep belief that it was necessary to rescue post-renaissance man: it was necessary to rescue a man from his own self and for it, it was necessary to restore theocentric picture of the world, together with its moral demands towards a man, which was expulsed by renaissance anthropocentrism. World of baroque could not or didn't accept a world in which the central place was not occupied by God. Baroque created the world where there was a balance, harmony, where dramatic effect, confrontations and harmony were prevailing, where contrasts, struggle, emotions and sufferings were lingering. Statistics of renaissance epoch, sculptures and paintings full of dignity ceded the place to faces illuminated with mystic rapture (Bernini's St. *Teresa's Ecstasy*, El Greco's *The Ecstasy of St. Francis of Assisi* and *Mary of Magdala*).

Baroque is distinguished by its efforts to actualize spiritual experience, which was accumulated by Christian culture of Middle Ages, but alongside with it, antique mythology personages were not unknown for it, which was used by it masterfully together with biblical characters. Baroque tried not only to inhale new spirit in Christian experience of Middle Ages, but to implement synthesis of theocentrism of Middle Ages to revive conception of human freedom and dignity.

Epochs of significant fluctuations and perturbations are always accompanied with repetitive revelations of biblical books. This is why the key book of baroque man became the Bible. Genesis and respectively theme of the original sin was one of the leading ones in baroque literature. Biblical conception of a man, which is based on a theme of Old Testament, was expressed in many authors of European baroque (du Bartas' *First week, that is genesis*, Andreoni's *Adam*, Vondel's *Lucifer* and *Adam* in *Exile* . Milton's *Paradise Lost*. Theme of the original sin in Georgian baroque literature was expressed in Archil's *The Dispute of a Man and the World* (1684), which expresses the most significant idea for Baroque Age: that a man from the ruler of the world, which is a renaissance conception of a man, turned into a slave of a world, which already is the baroque conception of a man. When baroque poets declare the idea that as a result of the original sin the world lost harmony and that a man created similar to god, a man that is "the crown of the world" will turn into a slave, clearly expresses confrontation between the main principles of renaissance and baroque: renaissance man is almighty, he stands in the center of the world, while baroque man is no more equal to god, he is a "thinking cane", while ancestral misfortune lies is in his weak nature, himself. Thus, renaissance anthropocentrism was replaced by baroque theocentrism, which returned god into the center of the universe again. Among biblical books in Baroque Epoch specific place is occupied by *Psalms*, which covers infinite range of human emotions, feelings and also extremely lyrical, high artistic value and allegorical *Song of Songs*, its motifs of holly love attracted baroque

authors. This attitude in Georgian baroque literature was expressed in poetry of Vakhtang VI *(Satrfialoni). Ecclesiastes* has become a philosophical base of baroque in which the authors of this epoch found the most organic text for them. The image of a sage depicted in it, who achieved everything a man can dream, passed through everything and came to the conclusion (Vanitas vanitatum, omnia vanitas est) –„Venity of venities, all is venity" (*Ecclesiastes* 1: 2). Antinomy attracted Baroque Epoch authors like magneto, for them antithesis became a mentality system.

The most significant role in Baroque Epoch was played by great scientific revelations and correspondingly, anthropocentric conceptions were substituted with absolutely different approaches. Baroque man more acutely felt dependence on irrational forces and similar to that when it turned out that the globe is not a center of the closed world a man could no more perceive himself as a center of the world. High moral biblical categories occupied the place of renaissance ideal of beauty. Baroque man never forgot that life was temporary and short, while death was inevitable and this is why the motto of renaissance Carpe Diem! was replaced with radically confronting essence Memento Mori!

Feeling of this transient life became a mark of this epoch. This is why the baroque poetry is impregnated with the theme of time transiency and parishability, which created mystic fear, but on the other hand feeling of transient and all perishing time and vanity of everything earthly used to incite surprising hedonism: love for life and its adoration. Such paradox lead baroque literature and it was namely this antithesis that united a split baroque man. David Guramishvili is distinguished for its highest baroque expressiveness: tragic emotion of his dissociated, dualized soul and plead for its union is expressed in antithesis couples.

If painters of the renaissance conceived human anatomy as support means for creation of adequate impression on human body and attributed great attention to the study of muscle system (Pollaiuolo, Leonardo da Vinci), since they needed knowledge of human anatomy to depict beauty of human body, baroque painting and poetry directed renaissance interest towards human body in quite another vector: here anatomy is not a support means but is a feeling, emotion associated with death. In poetry as well as in painting one of the forms of expression of life finiteness is associated with human anatomical body. Such an attitude to death was expressed in baroque poetry of Georgia too, where death, as a personage is offered by David Guramishvili by plastic obviousness. Baroque poetry and painting show well attitude of a man to death: „All go unto one place; all are of the dust, and all return to dust again" (*Ecclesiastes* 3:20).